პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17293

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (495) იანვარი 1982 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კარატეს სწავლების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ავტომობილმრეწველი კომბინატის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ.

განყოფილება მეორე

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. კ. კალანდაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ქ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. დოხნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. კრუგლოვისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ნ. ციცეშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ა. ქოიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ ხ. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. მეღვინეთ-უხუცესის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. დოლენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. როგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. პ. ტაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. შარუდნევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. ხიტუნს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. კუპარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. ოკუჯავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განჯოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 კარატეს სწავლების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სპორტული კარატეს სექციების გახსნის ან მათში მოქალაქეთა ჩაბმის დადგენილი წესების დარღვევა, ან სექციებში სპორტული წესებით აკრძალული ილეთების სწავლება, აგრეთვე თვითნებურად, შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე, კარატეს ილეთების სწავლება გამოიწვევს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ორმოცდაათ მანეთამდე.

2. პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენაში, დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ მათი მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

3. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული დარღვევებისათვის ჯარიმას აკისრებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეთა განხილვის საფუძველს წარმოადგენს დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შედგენილი ოქმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიტანოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგი შინაარსის 250[1] მუხლით:

„მუხლი 250[1]. კარატეს უკანონო სწავლება

სპორტული კარატეს სექციების გახსნის ან მათში მოქალაქეთა ჩაბმის დადგენილი წესების დარღვევა ან სექციებში სპორტული წესებით აკრძალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ილეთების სწავლება, აგრეთვე თვითნებურად, შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე, კარატეს ილეთების სწავლება, ჩადენილი ასეთივე დარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო კარატეს უკანონო სწავლებისათვის, ან თუ ეს ქმედობა დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ოდენობის მატერიალური სარგებლის მიღებასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ".

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 250[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრის „249" შემდეგ დაემატოს ციფრი „250[1]".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას მოქალაქისათვის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებანი:

1. 88-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11) მხარეები — უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების, ანდა პატიმრობის ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე".

2. 124-ე მუხლის მერვე ნაწილის შემდეგ დაემატოს ამგვარი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სარჩელები შრომის, საპენსიო და საბინაო უფლებების აღდგენის, ქონების ან მისი ღირებულების დაბრუნების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების, ანდა პატიმრობის ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან, შეიძლება წარდგენილ იქნეს ავრეთვე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

ამასთან დაკავშირებით 124-ე მუხლის მეცხრე ნაწილი ჩაითვალოს მეათე ნაწილად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა კომპლექსური, გეგმაზომიერი და მიზანდასახული განვითარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მეთაურობით, რომელიც განაგებს სოფლის მეურნეობის საკითხებს და შემდეგი შემადგენლობით თანამდებობათა მიხედვით:

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განაგებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის კვების დარგების საკითხებს; საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი; საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი; საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი; საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი; საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი; საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სსრ ხორცისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძის მრეწველობის მინისტრი; საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი; საქართველოს სსრ სოფლის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; „საქმთავარწყალმშენის“ თავმჯდომარე; ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე; რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“ თავმჯდომარე; საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი; საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი; საწარმოო გაერთიანება „საქთეგზმრეწვის“ უფროსი; საქართველოს სსრ აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ უფროსი.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — თანამდებობა ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით რესპუბლიკურ სამინისტროთა ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 28 ივნვარი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 **ამხ. ლ. კ. კალანდაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის მთავარ ინჟინერს ამხ. ლევან კირილეს ძე **კალანდაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 8 ივნვარი.

მოსკოვი ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კულტურის ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და პოპულარიზაციის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

დოლიძეს ვასტანგ ონისიმეს ძეს — გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების გამგეს.

მეფისაშვილს რუსუდან სამსონის ასულს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროს ინსპექტორს, არქიტექტურის დოქტორს.

სანებლიძეს ოთარ ვლადიმერის ძეს — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს.

ფერაძეს თენგიზ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

აბაშიძეს ნელი დიმიტრის ასულს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს კადრების განყოფილების გამგეს.

ზაქარიაშვილს ირაკლი დავითის ძეს — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულ მდივანს.

ზენკოს ირაკლი ილიას ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ფოტოგრაფს.

მამუკელაშვილს ვალერიან დავითის ძეს — მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის გენერალურ დირექტორს.

მამისაშვილს დავით ივანეს ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-სააწარმოო სამმართველოს ინფორმაციის სექტორის გამგეს.

მაძღარაშვილს ანზორ ალექსანდრეს ძეს — სოფ. მირზაანში ნ. ფიროსმანის მუზეუმის დირექტორს.

პაპიძეს შალვა ზაქარიას ძეს — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის უფროს ინსპექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელაძეს ზაქარია პავლეს ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ძეგლთა აღრიცხვის კვლევისა და მუზეუმების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი"

რაჭველიშვილს ჯიმშერ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საწარმოო უბნის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

დათუაშვილს გიორგი გიორგის ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.

დათუნაშვილს დიმიტრი კალისტრატეს ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ტექნიკური განყოფილების გამგეს.

ლომოურს გიორგი ივანეს ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უბნის უფროსს.

საყევარაშვილს რევაზ გიორგის ძეს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

კონტრიძეს ნატალია რაჟდენის ასულს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

ჟუჟუნაშვილს თამარ ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“:**

ბარათაშვილს ნანული კვიროსის ასულს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგეს.

გორგილაძეს მიხეილ გიორგის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს.

კოკნაძეს ლერი ვლადიმერის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს.

სამსონაძეს გურამ მიხეილის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის უცხოეთის ინფორმაციის განყოფილების გამგეს.

ფირცხალავას გერასიმე სამსონის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

ჯაველიძეს ნოდარ კაპიტონის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 **აბხ. ს. გ. დოხნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საწარმოო განყოფილების უფროსს ამხ. ეახტანგ გიორგის ძე **დოხნაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 21 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

ბაღაშვილს ევგენია იოველის ასულს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კორექტორს.

გოლიკოვს ვასილ დიმიტრის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშას.

დავითურს შოთა გიორგის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავს.

თოლორდავას ლევან ამბროსის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მთარგმნელს.

მაისურაძეს ნოდარ აბრამის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ილუსტრაციის განყოფილების გამგეს.

მამალაძეს სერგო მელქისედეკის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დამკაბადონებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

სანაძეს ედუარდ მიხეილის ძეს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის დირიჟორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გონაშვილს სამსონ ჩერქეზის ძეს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობს.

გურვიჩს გრიგოლ სოლომონის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონიაევს ვიქტორ ვილჰელმის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

მელიქიშვილს გრიგოლ ოთარის ძეს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობს.

ნასაძეს დავით გიორგის ძეს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობს.

სიხარულიძეს ვიქტორ გიორგის ძეს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მსახიობს.

ფორჩხუას არსენ არსენის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

ფურცხვანიძეს ზაქარია ნიკიფორეს ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

ხელაშვილს ივანე ალექსის ძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჟარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 ამხ. მ. გ. კრუგლოვისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში ძრავათამშენებლობის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისათვის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კათედრის გამგეს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ძრავათამშენებლობის საუწყებათშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ მიხეილ გიორგის ძე **კრუგლოვს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჟარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ამხ. დ. ნ. ციციშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდ წელთან დაკავშირებით ამხ. დავით ნიკოლოზის ძე **ციციშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიშნოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

ვახანიას ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის დირექტორს.

გამყრელიძეს თამაზ ვალერიანის ძეს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ვ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს.

ზენკევიჩს ვსევოლოდ პავლეს ძეს — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის სანაპირო ზონის განყოფილების გამგეს.

კალანდაძეს ალექსანდრე პავლეს ძეს — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

კალანდაძეს ცეცილია პოლიექტის ასულს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სა-

ხელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

მოჯორს ქეთევან სილოვანის ასულს — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონსულტანტს.

მჭედლიშვილს გიორგი იოსების ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

აბაჯაძეს გიორგი გიორგის ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

როიტბაკს ალექსანდრე ილიას ძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

სეხნაშვილს ემილ ალექსის ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელს.

ცეცხლაძეს თეა ვლადიმერის ასულს — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

ცინცაძეს ნოდარ ლევანის ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

ცისკარიშვილს პეტრე დიმიტრის ძეს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი"

არეშიძეს გიორგი მელიტონის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის განყოფილების ხელმძღვანელს.

გაბაშვილს ეკატერინე გიორგის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

მელიავს ალექსანდრე მოსეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაჭაპურიძეს იაკობ ფილიპეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი"

ბაღათურიას ვერა იაკობის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

კეზელს გულნარა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის უფროს აგრონომს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ამბოკაძეს გიორგი მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მანქანებში ხახუნისა და ცვეთის განყოფილების ხელმძღვანელს.

გრიგორაშვილს დიმიტრი დავითის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

კუპრაძეს ვახტანგ იაკობის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის მთავარ ინჟინერს.

ლაშქარაძეს დავით გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის უფროს ინჟინერს.

რაზმაძეს დიმიტრი ვასილის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამშემწეს.

საკანდელიძეს რამაზ მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს.

ფურცელაძეს ქრისტეფორე გაბრიელის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

გოლიაძეს თამარ ანტონის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროს ბუღალტერს.

სახვაძეს მარგარიტა პროფილეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

ჯღამაძეს ნუცა კირილეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“

აბრამიშვილს ანდრია ზაქარიას ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭოს უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ბაბილუას ლამარა ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს.

ბერძენიშვილს ეთერ ილიას ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოგრაფს.

რამენაშვილს სონია კალისტრატეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის ბიბლიოთეკის გამგეს.

ცინცაძეს ლილი ეპიფანეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯახაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროს ბიბლიოთეკარს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

გიორგაძეს ოთარ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ მთავარ რედაქტორს.

იაკობაშვილს აკაკი ბენედიქტეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. ა. დ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამადების სამოც წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე, სტუდიის მთავარი ინჟინერი ამხ. ალექსანდრე დომენტის ძე **გურგენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 8 იანვარი.

7293

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ამხ. ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი წაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 ამხ. ი. ა. ჟოიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თამაზ ალექსანდრეს ძე **ჟოიავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 ამხ ვ. ს. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახკინოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი ამხ. ვალერიან ხარლაპის ძე **ჩხარტიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 8 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 ამხ. ო. ვ. მელვინეთუხუცესის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისთვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ ვახტანგის ძე **მელვინეთუხუცესი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 13 იანვარი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 ამხ. ვ. ვ. დოლენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვასილ ვასილის ძე **დოლენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

20 ამხ. დ. ვ. როგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დავით ვალერიანის ძე **როგავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 ამხ. ე. პ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი ამხ. ემენ პარტენის ძე **ტაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ამხ. დ. ბ. შკრუდნევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების **სამოც** წელთან **დაკავშირებით ამიერკავკასიის** წითელდროშოვანი სამხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი გრიგოლის ძე **შკრუდნევი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 **ამხ. ი. ვ. ჩიჩუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ირაკლი ვარდენის ძე **ჩიჩუა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

1981 წელს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით პროდუქციის გამოშვებისას მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვის მიხედვით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა დათვალიერება-კონკურსის ერთთვიურის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ბიძინაშვილი ამირან ივანეს ძე — საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲝᲑᲮᲘᲫᲔ შალვა ზოსიმეს ძეს — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

ᲓᲣᲓᲩᲔᲜᲙᲝ ევგენია ივანეს ასული — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ᲖᲐᲤᲐᲠᲐᲘᲐ რევაზ პოლიკარპეს ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სოცშეჯიბრის ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

ᲗᲝᲑᲘᲚᲝᲕᲘ სოსლან ლენტოს ძე — ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ ვაჟა ლევანის ძე — საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე.

ᲛᲝᲡᲮᲘᲡᲝᲕᲘ სერგი ფილიპეს ძე — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორი.

ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ შოთა პავლეს ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე.

ᲥᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ ედუარდ ალექსანდრეს ძე — საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე.

ᲭᲙᲐᲓᲣᲐ ნოდარ ეფრემის ძე — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ თბილისის მართული გამომთვლელი მანქანების ქარხნის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1982 წლის 21 იანვარი.

ᲒᲠᲫᲚᲘᲡᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

25 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ გიორგი ვასილის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი.

ᲑᲔᲓᲝᲕᲐ ანასტასია არჩილის ასული — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის გამგე.

ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ ლია კონსტანტინეს ასული — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მთარგმნელი.

ზურაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე.

თორდუა ვლადიმერ დიმიტრის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის განყოფილების გამგე.

ლეკიშვილი მარგარიტა სერაფიონის ასული — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კორექტორი.

მაჭავარიანი დავით ირაკლის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ნაჭყებია გიორგი ბაგრატის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე.

ნორაკიძე ნორა ლავრენტის ასული — გაზეთ „კომუნისტის“ უფროსი კორესპონდენტი.

ღვინეფაძე ნანა სევერიანეს ასული — გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე.

ყიფიანი იოსებ გერონტის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დისპეტჩერი.

ხანთაძე რევაზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობი.

ხუბულური ლარისა მიხეილის ასული — გაზეთ „კომუნისტის კორესპონდენტი.

ჩიქვინიძე გივი ათანასეს ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის საბჭოთა მშენებლობის განყოფილების გამგე.

ჯალაღანია ვაჟა ტრიფონის ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გამოთვლითი მათემატიკის განვითარებასა და გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ გამოყენებაში **დიდი** დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და ეროვნების 25 წლისთავთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაძარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზაციული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

დეკანოსიძე ელენე ნიკოლოზის ასული — პროგრამირების განყოფილების გამგე.

კიკნაძე ლევან გრიგოლის ძე — დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილში.

მარუაშვილი თინათინ იოსების ასული — გამოთვლით სამუშაოთა განყოფილების გამგე.

წულაძე მურმან გრიგოლის ძე — დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაძარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში, კულტურის დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი არჩილის ძე **დვალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 26 ივნვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 ამხ. ს. ს. კუჭაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, გლდანის მიკრორაიონის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სიმონ სილიბისტროს ძე **კუჭაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 26 ივნვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 ამხ. ო. ვ. ოკუჯავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან **დაკავ**შირებით ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო **საბჭოს** აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების **გამგე** ამხ. ოთარ ესტატეს ძე **ოკუჯავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს** სსრ **უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს سسر **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი** თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდაერთ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მაკარი ივანეს ძე **ჯაში** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ნეფედოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 28 იანვარი.